განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების შესახებ“ წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების თაობაზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ წარმოდგენილი წერილი ეფუძნება 2014 წლის 18 დეკემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ „ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებას, რომლის მიზანია, ორ მთავრობას შორის განხილული და შეთანხმებული ეკონომიკურ-ტექნიკური პროექტების განხორციელებისთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის 30 მილიონი ჩინური იუანის (დაახლოებით 4.8 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის უსასყიდლო დახმარების გამოყოფა; 2016 წლის 3 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილ "ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებას, საქართველოსთვის დამატებით 60 მილიონი ჩინური იუანის ოდენობით უსასყიდლო დახმარების გამოყოფის თაობაზე საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განსახორციელებლად დამატებით 60 მილიონი იუანის ოდენობით უსასყიდლო დახმარების გამოყოფის თაობაზე, ასევე - 2011 წლის 19 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებულ „ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში გამოყოფილი გრანტის აუთვისებელი თანხიდან (დაახლოებით 760,000 ჩინური იუანი) საქართველოში ორი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობის ტექნიკურ–ეკონომიკური შესწავლის დაფინანსებას.

ვინაიდან, ჩინეთის მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს წერილების გაცვლის გზით დასადებ შეთანხმებას მიზანშეწონილად ჩაითვალა, ქართული მხარის მიერ ხელმოსაწერი შეთანხმება წარმოადგენდეს წერილების გაცვლის გზით დასადებ შეთანხმებას, შესაბამისად, შეთანხმების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების შესახებ წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმება“.

წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს ორი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობას, ერთს თელავში და მეორეს - სენაკში. თითოეული საავადმყოფოს სამშენებლო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2230 კვ. მეტრს. თითოეული საავადმყოფო მოიცავს ამბულატორიულ განყოფილებას, კრიზისული ინტერვენციის განყოფილებას, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მომსახურების განყოფილებას, სტაციონარულ განყოფილებას 30 საწოლზე, საოფისე და აპარატურის ოთახებს და, აღჭურვილი იქნება სათანადო დამხმარე მოწყობილობებითა და აპარატურით. ჩინეთის მხარე პასუხისმგებლობას იღებს პროექტის დიზაინზე; უზრუნველყოფს მშენებლობისთვის საჭირო დანადგარების, აღჭურვილობისა და მასალების მიწოდებას; ასევე – საჭირო რაოდენობის

ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის საქართველოში გამოგზავნას, სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად.

საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს გამოყოს მიწა საავადმყოფოების ასაშენებლად და მიწის ნაკვეთი დროებითი სარგებლობისთვის, მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში; უზრუნველყოს პროექტის ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირზე და მიწის ქვეშ არსებული ყველა ბარიერის დემონტაჟი და სამშენებლო ობიექტის გაწმენდა, მათ შორის შენობა–ნაგებობების, მცენარეების, საზოგადოებრივი მოხმარების წყალსადენების და ელექტროსადენების და ა.შ.; განახორციელოს მუნიციპალური პროექტები, მათ შორის, უზრუნველყოს პროექტის საზღვრამდე გზის გაყვანა, წყლის მიყვანა, საკერენაჟე სისტემის მონტაჟი, ელექტრომომარაგების, სატელევიზიო და ტელეკომუნიკაციების მიყვანა; დაეხმაროს ჩინელ ინჟინერებსა და ტექნიკურ პერსონალს ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღებაში; ასევე, დახმარება გაუწიოს ჩინეთის მხარეს, პროექტისთვის საჭირო მანქანა–დანადგარების, აღჭურვილობის, მასალის და ჩინელი ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის საყოფაცხოვრებო ნივთების განბაჟებასთან და შემოტანასთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარებაში და უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნივთების ნებისმიერი ტიპის საბაჟო და საგადასახადო გადასახდელებისგან განთავისუფლება; უზრუნველყოს ჩინეთის მხარის საცხოვრებელი ტერიტორიისა და პროექტის სამშენებლო ობიექტის უსაფრთხოება; ტერიტორიის გამწვანება პროექტის მიწის ფართობზე; და ა.შ.

საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ზემოაღნიშნული ვალდებულებების უზრუნველყოფა მოხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის შესაბამისი წლის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, კერძოდ, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ჩინეთის მხარის მიერ მოწოდებული წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები ანაზღაურდება 2011 წლის 19 დეკემბერს, 2014 წლის 18 დეკემბერს და 2016 წლის 3 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი „ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებების“ თანახმად გამოყოფილი გრანტის ფარგლებში.

წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს მხარეებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას და საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის წარმატებით განხორციელებას, ფსიქიატრიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით და ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმება არ ითვალისწინებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას საქართველოს კანონმდებლობაში.